

საკონკურსო თემატიკა:

**“ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და
სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის“**

პროექტი: “ამომრჩეველთა განათლება მომავლისათვის“

კავშირი “მწვანე დედამიწა”

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25. 09 - 25.11.2019

პროექტის მიზანი:

ძირითად მიზნად დასახული იყო მოქალაქეთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ინიციატივების განხორციელება, მათ შორის საარჩევნო უფლებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების განხორციელება.

ეს პროექტი განხორციელდა 4 ჯგუფისათვის, წინასწარ გათვლილი იყო სამოც ბენეფიციარზე მაგრამ დიდი დაინტერესების გამო საბოლოოდ მონაწილეობა მიიღო სამოცდათერთმეტმა ბენეფიციარმა.

წინასწარი მომზადებული სილაბუსების მიხედვით, მაღალკვალიფიცირებულმა ტრენერებმა, თითო ჯგუფს არანაკლებ 15 საათის განმავლობაში გააცნეს დემოკრატიული საარჩევნო პროცესების ძირითადი პრინციპები. საგრანტო პროექტის ფარგლებში ორგანიზებული კონტრიბუციის სახით ჩაუტარა ზესტაფონის საოლქოს წარმომადგენლებმა, თითო ჯგუფს ხუთი საათი, რაც მთლიანობაში შეადგენდა 20 საათს. მთლიანობაში ტრენინგების საათების რაოდენობა ბენეფიციარებს ჰქონდათ 80 საათი.

პროექტის განხორციელების არეალი: ზესტაფონი

პროექტის სამიზნე ჯგუფი

ბენეფიციართა რაოდენობა: 71



ქალები: 56

კაცები: 15

ახალგაზრდები: 20

იძულებით გადაადგილებული: 2

მოწყვლადი ჯგუფები: 1



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

ტრეინინგი ჩატარდა 4 ჯგუფთან

თითო ჯგუფი შედგებოდა 17 მონაწილისაგან

თითო ჯგუფს ჩატარდა 3 დღის განმავლობაში ტრეინინგი, დღეში 5 საათი, მთლიანად 15 საათი

დამატებით ერთი დღით კონტრიბუციის ფარგლებში საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩატარა 5 საათიანი ტრეინინგი

მთლიანობაში დაესწრო 71 მონაწილე, ტრეინინგი ჩატარდა 60 საათი და კონტრიბუციის 20 საათი

პირველი ჯგუფი (28, 29, 30 ოქტომბერი 2019)



პირველი ჯგუფი, კონტრიბუცია (31 ოქტომბერი 2019)



მეორე ჯგუფი (4, 5, 6 ნოემბერი 2019)



მეორე ჯგუფი, კონტრიბუცია (7 ნოემბერი 2019)



მესამე ჯგუფი (11, 12, 13 ნოემბერი 2019)



მესამე ჯგუფი, კონტრიბუცია (14 ნოემბერი 2019)



მეოთხე ჯგუფი (18, 19, 20 ნოემბერი 2019)



მეოთხე ჯგუფი, კონტრიბუცია (21 ნოემბერი 2019)



პროექტის ეფექტი, მიღწეული შედეგები:

ჩვენი ორგანიზაციის მიერ სწორად დასახული სტრატეგიისა და შესაბამისი გადადგმული ნაბიჯების წყალობით, პროექტის შედეგად მივაღწიეთ და მივიღეთ ის ეფექტი რომ პროექტში მონაწილე ფართო საზოგადოების განწყობა ამაღლდა არჩევნებისადმი.

ტრენინგების მსვლელობის დროს გამოკითხვის მიხედვით მონაწილეთა უმეტეს ნაწილს საარჩევნო პროცესებში ჩართვის სურვილი განელებული ჰქონდა და ჩვენი პროექტის შედეგად, ყველა დამსწრე ბენეფიციარებმა დაიწყეს ახლებურად აზროვნება და დაისახა მოქმედება, რომ ის გახდება მისაბამი და სამაგალითო ზესტაფონის რაიონში მაცხოვრებელი დანარჩენი ამომრჩევლისათვის.

ჩვენი პროექტის ეფექტურობა განაპირობა, მასში მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრენერების და ექსპერტების მონაწილეობამ, რამაც განაპირობა ბენეფიციარების მაღალი მოტივაცია, ენთუზია და მოწადინებამ რომ გახდნენ ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები და ასევე ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად მიიღონ მონაწილეობა სხვა პროექტებშიც. ზუსტად ეს ფაქტი განაპირობებს საარჩევნო პროცესისადმი და არჩეული სახელწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დამკვიდრებას. პროექტი რომელიც აღწევს მიზანს ეფექტურია და იმსახურებს ნდობას.

მადლობა ყურადღებისთვის